სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №_44

შემსყიდველი: საჯარო სამართლის იურიდიული პირი კიბერუსაფრთხოების ბიუროს (შემდგომში "შემსყიდველი"), დირექტორის მოადგილე გიორგი ბესტავაშვილის სახით. მისამართი: ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. №30. საიდენტიფიკაციო კოდი: 200280622;

მიმწოდებელი: შპს „პრინტარეა"-ს (შემდგომში "მიმწოდებელი") დირექტორის მოადგილის თინათინ მამასახლისის სახით. იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, რუსთაველის გამზ. №40/1. ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, უზნაძის ქ. N4. საიდენტიფიკაციო კოდი: 404384395, სს. „თიბისი ბანკი", ბ/კ TBCBGE22, ა/ა **GE16TB7465036020100001.**

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის „ა" პუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია CPV79800000 – ბეჭდვითი მომსახურების სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით შესყიდვა (ერთი ერთეული შტენდერი ლოგოთი, წარწერით, დიზაინით და 75 ერთეული ბეიჯი ბრენდირებული თოკით.).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 562.00 (ხუთას სამოცდაორი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის და კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მომსახურების მიღების ადგილი და ვადა

4.1. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი, უზნაძის ქ. N4.

4.2. მომსახურება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და მიღება-ჩაბარების წესი

5.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროს განვითარებისა და საგარეო ურთიერთობების განყოფილების უფროსი მაია აბულაძე, რომელსაც შეუძლია ინსპექტირება განახორციელოს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.
5.2. გაწეული მომსახურების მიღება ფორმდება შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტით, შემსყიდველის და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 4.2 პუნქტში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ კვალიფიციური ელ.ხელმოწერით ან კვალიფიციური ელ. შტამპით დადასტურებიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

12. დასკვნითი დებულებები

12. 1 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონული ფორმით ქართულ ენაზე.

შემსყიდველი სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიურო	მიმწოდებელი: შპს „პრინტარეა“-ს
დირექტორის მოადგილე გიორგი ბესტავაშვილი	დირექტორის მოადგილე თინათინ მამასახლისი

LEPL CYBER SECURITY BUREAU

Digitally signed by LEPL CYBER SECURITY BUREAU
Date: 2019.10.02 17:16:43 +04'00'

LTD PRINTA REA

Digitally signed by LTD PRINTAREA
Date: 2019.10.03 13:22:08 +04'00'